№ 267
შაბათი, 17 დეკემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 267
შაბათი, 17 დეკემბერი 1894

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## „ივერია"
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

დამფუძნებელთ ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისას სთხოვენ მობრძანდნენ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში კვირას, 18-ს ამ დეკემბერს, საღამოს შვიდს საათზე განსახილველად ზოგიერთ საგნებისა, რომელიც ხსენებულს საზოგადოებას შეეხება.

### ქართული წარმოდგენა
კვირას, 18 დეკემბერს
არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
(სოლოლაკში, ფითოევის სახლში)

ქართული წარმოდგენების მმართველ „ამხანაგობის" დასისაგან წარმოდგენილი იქნება გ. მარჯანოვის მეორე სადებიუტოდ ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა და ბ-ნა აბაშიძის მონაწილეობით

I

**მეორედ გამოწვევა**

დრამა 4 მოქმედ. გადმოკ. რუსულიდგან თავ. დ. ერისთავის მიერ.

II

**არც იქით, არც აქეთ'**

ვოდევილი 1 მოქმედ. გადმოკეთ. ვალერიან გუნიას მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, გამყრელიძე, ადამიძე და სხვა.

ადგილების ფასი პარტერში სკამები 50 კაპ. მოყოლებული 2 მან. 50 კ. I ბალკონზე სკამები 50 კაპ. მოყოლებული ვიდრე 2 მანეთამდე.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ალექსეევ-მესხიევი
ადმინისტრატორი ვალერიან გუნია

## ტფილისი, 17 დეკემბერი

—

სწორედ საკვირველი იყო ის გარემოება, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა, სოფელი, რომლის შესახებაც ანდაზა ამბობს «გონიერიაო», მამასახლის-მოსამართლის არჩევანის დროს ამ გონიერებას უმტყუნებს ხოლმე და, თითქოს განგებაო, ისეთს ადამიანს წააწყდება, რომელსაც სოფელი სათლელი დუმა ჰგონია და ადრევე ილესავს დანას. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ ასეთი მაგალითი არა ერთხელ და ორჯელ მომხდარა, არა ერთხელ და ორჯელ დარწმუნებულა სოფელი თავისს შეცდომას. ეს გარემოება თავმდები უნდა ყოფილიყო, რომ ერთხელ და ორჯელ წაბორძიკებული სოფელი, მესამედ გაფრთხილდებოდა, ხიფათს ასცდებოდა და უფრო მორიდებით, უფრო წინ-დახედვით იმოქმედებდა. მაგრამ, ამისდა მოულოდნელად, ისევ უვარგისი მამასახლისი ადიოდა სამამასახლისო კოფოზედ, ისევ დრტვინვა და ჩივილი გაისმოდა იმავე სოფლისა, რომელსაც ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ისევ თავისის თავის სამდურავი ჰმართებდა და სხვისი არავისი.

ჩვენის გაზეთის წარსულ სამშაბათის №-ში დაბეჭდილი იყო ფრიად საყურადღებო წერილი ჩვენის კორესპონდენტისა სოფლის მოხელეთა არჩევანის შესახებ. კორესპონდენტი ამ სამწუხარო გარემოების მიზეზად იმას ასახელებს, რომ ხმა-მაღლად, საქვეყნოდ, საჯაროდ ჰხდება არჩევანი და დაბეჩავებულს, დამფრთხალს გლეხს ეშინიან არ მიემხროს სოფლის წურბელა კაცს, პირში, ცხადად უთხრას, «ქვეყნის ჭამია ხარ და სოფლის ბედ-იღბალს, ჩვენს ავკარგიანობას შენ ვერ განდობთ, შენს ხელში ვერ ჩავაგდებთო». ეშინიან, რადგან თუ იმისმა სიტყვამ არ გასჭრა და კანდიდატი მაინც გამამასახლისდა, ან მოსამართლე შეიქნა, საუკუნოდ გადაიკიდებს მტრად და მაშინ ხომ, ისეც განიორწყალებულს, მტერი—მამასახლისი სრულიად ბოლოს მოუღებს. ესეც არ იყოს, შეიძლება ნათელ-მირონობამაც ჩაუკმინდოს ხმა გლეხს და პირდაპირ ვერ გაჰბედოს ნათელ-მირონის გაკიცხვა, თუნდა მისი ნათლია ქვეყნის ამომგდები კაციც იყოს.

კორესპონდენტი იმ აზრისაა, რომ კარგი იქმნებოდა საიდუმლო კენჭის ყრა იყოს შემოღებულიო, და მართლაც, შეუძლებელია, არ თანაუგრძნოს ადამიანმა ასეთის წესის შემოღებას და სასარგებლოდ არ მიიჩნიოს იგი. კენჭი უზრუნველ ჰყოფს გლეხ-კაცს გაპირშავებულ და სამამასახლისოდ უვარგისად ცნობილ წურბელას მტრობისაგან, განათავისუფლებს გლეხის სინიდისს საჯაროდ საქმის გარჩევის ბორკილისაგან და იგი უფრო თამამად, უფრო პირ-უთვნელად დასდებს თავისს მსჯავრს ყოველსავე მისდა გარდასაწყვეტად წარდგენილს საგანს. ჩვენის აზრით, მარტო სათანამდებობო კანდიდატთა არჩევანი-კი არ უნდა გადასწყდეს ამ წესით, არამედ ყოველი საქმე, ყოველი საგანი, რომლის შესახებაც-კი ამა თუ იმ განაჩენის დადგენის უფლება აქვს მინიჭებული სოფლის საზოგადოებას.

ერთი კარგი მაგალითი მოჰყავს კორესპონდენტს. ვსთქვათ, სოფლის მედუქნეს, რომელიც მთელს სოფელს, სამწუხაროდ, დღევანდლამდე ბურთსავით ხელში ათამაშებს, რომლისაც ყოველ გლეხკაცს თითო-ოროლა მანეთი ჰმართებს, მეორე დუქნის გამართვაც უნდა. შეიყრება სოფელი განაჩენის დასადგენად. ყოველმა თავისი აზრი საჯაროდ უნდა წარმოსთქვას. აბა ვინ გაჰბედავს კრინტის დაძვრას? მართალია, გლეხებს ერთის დუქნის არსებობის გამოც ტყავი აქვთ გამძვრალი, მაგრამ რას იზამთ, მედუქნე იქვე სდგას და ამაყის, ძლიერის თვალითა ჰზომავს, ვნახოთ ჩემი წინააღმდეგი ვინ გამოჩნდება და სოფლისათვის გულის-ტკივილს, სოფლის ზრუნვას ვინ გამოიჩენსო. აბა გაუბედოს გლეხმა წინააღმდეგობა? ჭირსა და ლხინში ის მედუქნეა გაჭირვებულის გლეხ-კაცის ხელის-გამმართველი და სულს ამოჰხდის.

ახალი წესი სრულიად აადენს გლეხ-კაცს ამ შიშს და იგი უფრო ხელ-გახსნით შეიძლებს მოქმედებას და თავისის „ჰო"-სა და „არა"-ს თქმას, იმ აზრის გამოთქმას, რომელზედაც დამოკიდებულია კერძოდ იმისი და საერთოდ მთელის სოფლის ბედ-იღბალი.

ეს საქმე არც ისე ძნელია, როგორც პირველის შეხედვითა სჩანს. საკმარისია, რომ მაზრის უფროსმა ყოველს სოფლის კანცელარიას ორი, ან სამი კენჭის საყრელი ყუთი შეაძენინოს, თხილს ყოველ-

## ფელეტონი

—

### მძიმე დანაშაული

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

ადვილად წარმოსადგენია არჩილ, რომ იმ ღამეს მე ძილი არ მომეკიდებოდა. შენც დამეთანხმები—ასეთი რთული საგანი კაცს გარდასაწყვეტად ძალიან იშვიათად თუ შეხვდება ცხოვრებაში, და შესაძლებელია არც შეხვდეს. მაშასადამე, ჩემის გონების სალაროსათვის საქაჩავი მაგრად უნდა მომეჭირა, რომ რომელსამე ნათლად გამორკვეულს დასკვნას დავდგომოდი.

თუმცა იმედი მქონდა, ქალს თავის მოკვლის აზრს გადავათქმევინებ-მეთქი, მაგრამ, როდესაც საქმის გარემოებას საძირკვლიანად ჩავუფიქრდი, სულ სხვა აზრს დავადექი... თუ ამ ჟამად ქალის უბედურება დაფარული იყო, ადრე თუ გვიან მაინც უნდა გამოაშკარავებულიყო! რაკი დედ-მამა ამას შეიტყობდა, ქალის მდგომარეობა უფრო გადუხჭირდებოდა, რადგანაც, ეჭვს გარეშე, იმათს ყვედრებასა და წყევლა-კრულვას დასასრული არ ექნებოდა; საბრალო ქალი, ისეც გატანჯული, ამას ვერ აიტანდა და თავისს თავს აუტეხდა რასმეს.

ბევრი ვიფიქრე, ბევრჯელ ავწონდავწონე საქმის ვითარება, მაგრამ—შენი მტერი—ფონს მაინც ვერ გავედ. ის უსინიდისო მომჯადოვებელი რომ თავისუფალი ყოფილიყო, საქმის შველა კიდევ შეიძლებოდა, შევარცხვენდი, საზოგადოებაში მოგჭრი-მეთქი თავს, ვეტყოდი, მაგრამ, საუბედუროდ, იმას თავისის თავისათვის კიდეც ეშველა და ჯვარი სხვაზედ გადაეწერა. ეხლა-კი ყველაფერი ამაო იყო. ბედკრული ქალი ძალიან მეცოდებოდა და უფრორე საბრალო იყო ის უმანკო, არაფერში დამნაშავე ბალღი, წუთიერ-სიტკბოების ნაყოფი.

მართალია, ქალს ვარწმუნებდი, რომ უკანონოდ შობილი—უსახელო არ არის-მეთქი, მაგრამ ტანში რაღაც უსიამოვნო ჟრუანტელი დამირბენდა, როდესაც ჩემს თავს იმ, ჯერ არ შობილის, ბალღის ალაგას წარმოვიდგენდი ხოლმე. რას იზამ? საზოგადოება იმათი წინააღმდეგია, თუმცა იმათს გაჩენაში იგივეა დამნაშავე და ორი თუ სამის კაცის აზრი რას გააწყობს? კანონად მიღებულს ჩვეულებას სურვილისამებრ ერთს წუთში ხომ ვერ შესცვლის?!

მართალს ამბობდა საბრალო—თავის მოკვლის მეტი გზა არსით იყო.

ფიქრის ასეთმა დასასრულმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, თითქოს ყველაფერში დამნაშავე მე ვიყავი.

ბოლოს თავში ელვასავით ერთმა აზრმა გამიარა, მაგრამ წამსვე განვიშორე იგი თავიდგან და სწორედ ჩემი ბედ-იღბალიც ამ აზრის უარყოფამ გარდასწყვიტა.

ეს აზრი ის იყო, რომ ის ქალი ცოლად შემერთო და ამით იმის უკანონო ნაყოფისათვის სახელი მიმეცა. როდესაც ეს კაცთ-მოყვარეული აზრი თავიდგან მოვიშორე, მაშინ გულში ჩემივე თავი შემეზიზღა. რათა? იმიტომ, რომ სუსტის ხასიათისა აღმოვჩნდი, პატიოსან აზრების მხოლოდ სიტყვით მოლაღადე და საქმით-კი უარ-მყოფელი!.. ბოლოს თავი იმითი გავიმართლე, რომ ძალად ცოლის შერთვაც შეცდომა არის-მეთქი, მაგრამ იმავე წამს იდუმალმა ხმამ წამჩურჩულა: „თავს ტყუილად იმართლებო, მაგ ქალს სიამოვნებით შეირთავდი, რადგანაც ყოველის მხრივ სრულია, მხოლოდ ეხლა უკან იმიტომ იწევ, რომ ქალწულება ახდილი აქვს და თავის შეცდომის ნაყოფს მუცელში ატარებსო".

ეს სინდისის ხმა იყო და მართალსაც ჰლაღადებდა. მე, თუმცა იმ ქალთან ნაცნობობა არა მქონია, მაინც იმისი ვინაობა დაწვრილებით ვიცოდი. შეტყობილი მქონდა, რომ იგი კაი ოჯახის შვილია, შ ძლებული, კარგად აღზრდილი, ნასწავლი და ამასთანავე ლამაზიც იყო. სხვა შემთხვევაში ამ გვარი ცოლი რომ მყოლოდა, ჩემს თავს ბედნიერადაც ჩავსთვლი, მაგრამ ეხლა სხვა იყო... და როდესაც ჩემი თავი ასეთს ორჭოფობაში დავიჭირე, როცა ჩემი გატაცებული ორატორობა მოვიგონე პატიოსანის და კაცთ-მოყვარეულის მიდრეკილების შესახებ და მაშინდელი ჩემი აზრები ეხლანდელს შევადარე, პირში ჩალა გამოვლებულსავით დავრჩი, ჩემს არსებაში სრული არარაობა ვიგრძენი; თვალ-წ თლივ დავინახე, რომ მეც ღვიძლი შვილი ვიყავი ჩემგანვე უარ-ყოფილს საზოგადოებისა, წუთით მცოდნია აპლოდისმენტი ... ბა, პატიოსნების გამოჩენა და იმავ წამშივე დავცხრომილვარ... დიაღ, ჩემი არსება ხელის გულივით წინ გადამეშალა მთელის თავისის ავ-კარგიანობით და რა ვნახე სანუგეშო?—ძალიან ცოტა. სიტყვით ყველაფერი მიკეთებია, საქმით-კი არაფერი, სიტყვით ციდამ ვარსკვლავები მიკრეფია, საქმით-კი დედამიწაზედ კენჭიც ვერ გადამიგორებია. ერთის სიტყვით, მოკლედ რომ მოვსჭრა,—ჩემი თავი უხასიათო და სულით უძლურ-კაცად მეჩვენა.

როდესაც ყველა ეს გავითვალისწინე, ჩემის თავისა მე თითონვე შემრცხვა და ეხლაც კარგად მახსოვს, რომ ეს სიტყვები წამოვიძახე:

„ოჰ, რა შესაბრალისი ვყოფილვარ-მეთქი"!

აქ-კი ველარ გავუძელ სინიდისის ქენჯნას და შევეკამათე: „ვისი რა ბრალია? რატომ არ გაფრთხილდა, ამ მდგომარეობამდის რად მიაღწია, თავი რატომ არ შეიკავა და უმანკოება წუთიერ სიამოვნებას რად უმსხვერპლა-მეთქი?" ეხლა-კი პირდაპირ ქალს ვამტყუნებდი და როდესაც კარგად ჩავუკვირდი ამ სიტყვებს, როცა საბრალოს სიტყვები გამახსენდა: „ეგ მხოლოდ ცარიელი სიტყვებიაო, ეხლა მაგრე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ დამამშვიდოთო, ხვალ-კი თქვენ თითონვე გამკიცხავთო",—უარესად შემრცხვა და ამავე დროს იდუმალმა ხმამაც წამჩურჩულა: „ლობე ყურეს ტყუილად ედები, უხასიათო ხარ, სულით გლახაკი და, სხვისის გამტყუ-

*) იხ. «ივერია», № 266.

თვის იშოვნიან, რომ კენჭად იხმარონ, და საკმარისია ერთხელ აუხსნან გლეხ-კაცს მნიშვნელობა კენჭისა და ყუთის შავისა და თეთრის მხრისა, რომ ამდენს დაბრკოლებას, ამდენს უსიამოვნებას ბოლო მოეღოს და სოფლის საქმე უფრო წესიერად იქმნას წარმართული.

ფარნაოზი

# ახალი ამბავი

*** ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისის პოლიციას დიდძალი ქაღალდები მოსდის გამოსაცხადებლად, ტფილისის მცხოვრებლებისა, რომელთაც მის იმპერატორებითი უდიდებულესობის რუსეთის დედოფლის სახელზე თხოვნა გაუგზავნიათ მოწყალების გამო. რადგანაც დედოფალს დიდძალი თხოვნა მისვლია რუსეთის სხვადა-სხვა ალაგებიდგან და ამ თხოვნათა ასრულება ყოვლად შეუძლებელია მათ სიმრავლისა გამო, ამიტომ ყველას, მოწყალების მთხოვნელთა, უარს უცხადებენ.

*** „ჩვენ გვწერენ, რომ ამ ორის წლის წინად თავადმა გ. წ—მა პირადი შეურაცხყობა მიუყენებია მიტროფანე ლალიძისთვის, რომელმაც ქუთაისის სასამართლოში საჩივარი შეიტანა. მომრიგებელ მოსამართლემ 13 ღვინობისთვეს 1892 წ. თავადს წ—ს ამ საქმისათვის ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა. 12 დეკემბერს ამა წლისას სასამართლოს მდივანთან მისულა შეურაცყოფილი მიტროფანე ლალიძე დ გამოუცხადებია, რომ ჩვენის პოეტის აკაკის მორჩენის გამო მიპატივებია თავ. წ—სთვის თავისი დანაშაულისა დ საქმის მოსპობა უთხოვია. ეს გარემოება სასამართლოს ოქმშია აღნიშნული.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩინებული შემთხვევა აურჩევია ბ-ნ ლალიძეს თავისის სულგრძელის საქციელისათვის.

*** ნიხრის დამნიშვნელმა კომისიამ 15 დეკემბერს რამდენიმე სხვილფეხა საქონელი დაჰკლა გამოსაკვლევად, თუ რა უჯდებათ ყასბებს გირვანქა ხორცი. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს დღეებში ცოტა საქონელი ჩამოჰყავთ ქალაქის ბაზრებში მარხვისა გამო და ამიტომ ძვირფასად იყიდება იგი. ამის გამო კომისიამ დაადგინა ნიხრი მოუმატოს ძროხის ხორცს ერთი კაპეიკი გირვანქაზედ, ე. ი. 7 კაპ. მაგიერად 8 კაპ. გაჰყიდონ გირვანქა. ამ მოხსენებას ორშაბათს განიხილავს ქალაქის საბჭო.

*** ამ ჟამად რამდენსამე ახალ-გაზდა ყმაწვილ-კაცთა შეუდგენიათ თავისებურთა (ორგინალთა) კლუბის წესდების პროექტი, რომელსაც ამ დღეებში წარუდგენენ ტფილისის გუბერნატორს.

*** კახეთის რკინის გზის გაყვანის პროექტი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, შედგენილ იქნება გაზაფხულზედ და დიდ მარხვის ბოლოს პეტერბურგს გაჰგზავნიან გზათა მინისტრის მიერ დასიმტკიცებლად.

*** კავკავის გზის სადგურ გუდაურიდგან იუწყებიან, რომ კავკავის გზა გაუწმენდიათ თოვლის ზვავისაგან.

*** კავკასიის მთავრობა ამ ჟამად იმ საკითხავის გარჩევაშია, რომ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებელ მაჰმადიანთ, ჯარის-კაცად გაყვანის მაგიერ, განსაკუთრებული გარდასახადი დაედოთ. ეს საგანი უნდა განიხილოს მთავარ-მართებლის საბჭომ ამიერ-კავკასიის გუბერნატორების თანადასწრებით.

*** რადგანაც ქუთაისში განსაკუთრებული ჰავაა და საზაფხულოდ მოსულ სასამართლო და საადმინისტრაციო უწყებათა მოსამსახურეთ უჭირდებათ ქალაქში ცხოვრება, აქაურს ადმინისტრაციას განუზრახავს მოსამსახურეთა საზაფხულო აგარაკისათვის სადმე, ქალაქს გარედ, ააგოს სახლები. ადგილის ამოსარჩევად დანიშნულს კომისიას ორ-გან შეუგულებია ადგილი. რკინის გზის სადგურს წიფას მახლობლად და ტყიბულისა, ან საქარის ულელტეხილზედ. როდესაც გამოიანგარიშებენ ხარჯს, რომელიც შენობათა ასაგებად იქმნება, საჭირო ანგარიშს მთავრობას წარუდგენენ დასამტკიცებლად.

*** 13 დეკემბერს ორხევის დუქნის ცოტათ მოშორებით ერთს ოქრო-მჭედელს ლეკს ორი თათარი დახვედრია, გაუძარცავთ და მერე მოკვლაც მოუნდომებიათ, რისთვისაც ხევისკენ მიათრევდნენ თურმე. ამ დროს ლეკს ხანჯალი წაურთმევია ერთის თათრისათვის და ორივენი იქვე დაუხოცია. ლეკი 15 დეკემბერს ტფილისში ჩამოიყვანეს.

*** ჩაქვის და ბათუმს შუა მუშებს, რომელნიც ჩაქვის ჩაის პლანტაციებზედ ჰმუშაობენ, ნება მიეცემათ საქონლის მატარებლით იარონ. აქამდის ეს უფლება მხოლოდ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთა ჰქონდათ.

*** მეტის მეტად უჩივიან თამამშევის ქარვასლის ზოგიერთს ვაჭრებს, უზდელად ექცევიან მყიდველებს და, ამას ვილა სჩივის, უსინიდისოთ ატყუებენ თურმე. მაგალითად, გუშინ ქარვასლის ნოქრებს საშინლად შეურაცხეყოთ ერთი ვილაც მანდილოსანი. მოვაჭრეს ზავიალოვის ქარხნის მაკრატლის მაგიერად უბრალო მაკრატელი შეუტყუებიათ და თუმცა დაჰპირებოდენ თუ არ მოგეწონოს, უკანვე მოიტანე და გამოგიცვლითო, მაგრამ, როდესაც მართლა უკან მოუტანია და საყვედური უთქვამს რად მომატყუეთო, ნოქრებს უშვერის პირით დაუწყიათ ლანძღვა გინება... საზიზღრად ილანძღებოდნენ თურმე და ემუქრებოდნენ კიდეც. კარგი იქნებოდა ამ ვაჟბატანების საქციელს საზღვარი დაედოს.

*** სოფ. კაიშაური (დუშეთის მაზრა); 5—10 და 13 დეკემბერს ნიკოლოოზ კაიშაურის ოჯახში სამი ბავშვი იმსხვერპლა ყელჭირვებამ. ეს სენი ერთბაშად იწყება, ბავშვები იძახიან, „ვაიმე, ყელი მეწვისო“ ყლაპვას არ უშლის. ორის დღის ან სამის დღის შემდეგ ერთბაშად სულს განუტევებენ ხოლმე. ვერავინ შეატყო, რა ყელ-ჭირვებაა და არც წამალი იციან. ეს სენი ძალიან ვრცელდება. კარგი იქნება, რომ ვისიც ჯერს არს ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ექიმი გამოგზავნოს.

## ნაწყვეტები

დღეს მაიღე ჭოს წერილი
მის არსაკან დადაგულმა,
მკვდარი ვიყავ, გამაცოცხლა
ყოვლად-შემძლე სიყვარულმა,
სევდა ცრემლად ამოვღვარე
სასიკვდილოდ განწირულმა, —
და გავწიე საყვარლისკენ
ცხრა მთას იქით დაკარგულმა.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

**ცხინვალი**. ამას წინად გვეწვია ქალაქს ექიმი რ. მაჭავარიანი. დილის 7 საათიდგანვე დაიარა დუქან-ბაზარი და ყველა მედუქნეს უბრძანა, რომ ყოველივე დაესუფთავებინათ; ყველას ისე ძმურადა და მეგობრულად ეხვეწებოდა, რომ გეგონებოდათ, თავისთვის თხოულობს რასმესაო. ორის-სამის საათის განმავლობაში მთელი მოხელენი ფეხზედ დააყენა, მომრიგებელი მოსამართლე პოლიციითა და სანიტარებითურთ. პირველად ურიებს ეწვია და მთელი ოთხასი კომლი ურია თითქმის სათითაოდ დაიარა. იმისთანა თქვენმა მტერმა ჰნახოს, რაც ამან აქ უწმინდურება და სისაძაგლე ნახა. ერთი სიტყვითაო, უთხრა ტკბილად ექიმმა, თუ რამ გაჩნდა, ერთი ვეღარ გადაურჩებით ცოცხალი და ამიტომ გთხოვთ, იქონიეთ საჭირო ადგილები, გაასუფთავეთ ეზოები და სხვ. შემდეგ მიუბრუნდა დუქან-ბაზარს და ჟანგიან ქვაბებს, საწორებს თუ სხვას კრიალი გაჰქონდა. ვისაც-კი უვარგისი საჭმელი უნახა ქვაბებში, ნავთი ჩაუსხა; აგრეთვე დაშინჯა მეფურნე-მეთორნეები, და ერთ მეთორნეს უსუფთაობისათვის ცომსა და გამომცხვარ პურზედ ნავთი გადაუსხა და მუშაობა აუკრძალა, თუ არ გაასუფთავებდა. ბ. მაჭავარიანი ორს დღეს დარჩა, თუ სამსა და ცხინვალი განასპეტაკა. სანიტართა დასს ერთი-ოთხად მოუმატა და დაავალა, რომ დღეიდგან თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. ხომ ჰნახეთ თქვენის ორივე თვალით, რა მდგომარეობაშიც იყავით?

ზ. სტუმარი.

## „მოხუცთა მეცნიერება“

როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ, მოხუცე̃ბას ცუდი გავლენა აქვს კაცის ხელოვნურს ნიჭზედ; სამეცნიერო შემოქმედება მხოლოდ შუახნამდის გასტანს ხოლმე. რასაკვირველია, ამ წლებში კაცი ახალს აზრებს ვეღარ, ან იშვიათად-ღა მიაგნებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის უარის-მყოფელი ნაყოფიერის მოქმედებისა. საკმარისი არ არის კაცმა ახალი აზრი წარმოსთქვას, ამ აზრს შემუშავებაც სჭირია, სხ. და სხ. არსებით მოვლენასთან გადაბმაც უნდა, — ეს არის მეცნიერების უმთავრესი საგანი. როგორც თვით კაცის აზრი, აწმყოფ მეცნიერების ძირეული დედა-აზრნი დაძველებული-ღაა: აზრები ევოლიუციისა, ერთგვაროვნობისა, ენერგიის (ძალის) შენახვისა ისევ საბერძნეთისა და ინდოეთის მეცნიერებმა წარმოსთქვეს, მაგრამ ეს აზრები ნამდვილ ბუნებასთან-კი ვეღარ დააკავშირეს. „არარაობიდგან არც თუ რამ ჩნდება და ჰქრება ბუნებაშიო“, სთქვა ოვიდიიმ და ამ აზრს კაცის ქვად გარდაქმნის და ქვის კაცად გარდაქმის ამბებით ასურათებს. ამავე აზრს ატარებდა ლავუაზიე; მაგრამ ის ქიმიურ წინაღმ-

---

ნებით, შენი თავი გინდა გაიმართლოო“.

— არა, არა-მეთქი, წამოვიძახე მე და თვალში ცრემლი მომაწვა.

— „თუ აროო, მაშ აბა გაბედე და ეგ კეთილი აზრი აღასრულეო“, მომესმა კვლავ სინიდისის ხმა.

— კარგი-მეთქი ვუპასუხე და ამ სიტყვასთან ერთად გულზედ რაღაცა მომეშვა, თავისუფლად ამოვისუნთქე. ასე და ამ რიგად, ბევრის სჯისა და ფიქრის შემდეგ გარდავსწყვიტე იმ ქალის—ცოლად შერთვა და, წარმოიდგინე, ამ აზრს თანდათან ისე შევურიგდი, რომ გული რაღაც სიამოვნებით გამემსჭვალა. ეს ის კმაყოფილება იყო, ჩემო არჩილ, რომელსაც ყოველი კაცი გრძნობს, როდესაც-კი იგი თავისს კაცობრიულს ვალს იხდის. წელანდელის სინიდისის მხილებისა ნატამალიც აღარ მოიპოვებოდა, მთლად დავმშვიდდი და გარს სულ იმას დავტრიალებდი—ეს განზრახვა როგორ აღმესრულებინა.

უმთავრესს დაბრკოლებად თვით გაუბედურებული ქალი მიმაჩნდა. იქნება თავ-მოყვარეობამ ჩემი ცოლობა არ აკისრებინოს-მეთქი. ხომ იცი, როცა კაცი უბედურებაში ჩავარდება, მაშინ მისი სიამპარტავნე უმწვერვალესს საფეხურამდე მიაღწევს ხოლმე. ეჭვ გარეშე იყო, ჩემი ასეთი მოულოდნელი საქციელი გააკვირვებდა და ამას აფიქრებინებდა, რომ ალბად სიბრალულის გამო ქმრობას მოწყალებასავით მაწვდისო. ასე თუ ისე, გარდავსწყვიტე, უეჭველად დამეთანხმებინა. თანდათან ისე გამიცხოვლდა იმ ქალის შერთვის სურვილი, რომ საქმის ჩაშლა ძალიან მეწყინებოდა და დამაღონებდა.

იმას-კი ნუ იფიქრებ, ვითომც მე სიყვარულის ცეცხლი მომდებოდეს და ეს სურვილი ამ გრძნობას გამოეწვიოს. არა, მე უფრო, როგორც ზევით გითხარი, ასე მხურვალედ ის მამოქმედებდა, რომ ხასიათის სიმძლავრე და კაცთ-მოყვარეობა დამემტკიცებინა. თავში სულ ის უკანონო შვილი მიტრიალებდა და შეუწყვეტლივ იმის შესახებ ვოცნებობდი, თუ ჩემის მამობრივის მზრუნველობით როგორ გავაბედნიერებდი უბედურს ბავშვს. მთელი ღამე არ დამძინებია და დილას მოუთმენელად ველოდდი, რომ ჩემი განზრახვა აღმესრულებინა. ამასობაში კიდეც ჩამთვლიმა.

როცა გამომეღვიძა, ცხრა-თვალი მზე დედამიწის ზურგს გავარვარებულს სხივებს უხვად აფრქვევდა. სხეულის გაღვიძებასთან ერთად, ჩემმა ზნეობრივმა მხარემაც გაიღვიძა და როდესაც ყველაფერი გავიხსენე, გულმა რაღაცა სიამით დამიწყო ძგერა და სწრაფად გავეშურე, საიდგანაც ჩემი მოვალეობა მიმიწვევდა. იქნებოდა თერთმეტი საათი, როდესაც თამარის (ასე ერქვა იმ ქალს) სახლთან ვიდექი და ათრთოლებულის ხელით ზარსა ვრეკავდი.

პირველადვე თამარი გამომეგება და სიტყვის აღსრულებისათვის დარცხვენილის ღიმილით მადლობა გადამიხადა. ერთმანეთს ისე შევხვდით, როგორც ძველი ნაცნობები. საიდუმლოში თანამოზიარობას, თურმე ნუ იტყვი, ორი ადამიანი ადვილად დაუკავშირებია. რასაკვირველია, პირველში ერთმანეთისა გვრცხვენოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ლაპარაკის კილო გავისწორეთ და მუსაიფი საზოგადო საგნების შესახებ დავიწყეთ. თამარი ძალიან გონება-გახსნილ ქალად მეჩვენა, ყველაფრის შესახებ ცოცხალი და თავისებური შეხედულება ჰქონდა, თუმცა-კი უბედურებაში ყოფნას ყოველის იმის აზრისათვის ნაღვლიანობის დაღი დაემჩნია.

ჩვენს ლაპარაკში კარგა დრო გავიდა, მაგრამ მე მაინც ვერა ვბედავდი იმ საგანზედ სიტყვის ჩამოგდებას, რომლის გამოდაც მიველი, ბოლოს, როგორც იყო, გავბედე და ლაპარაკის მიმდინარეობა მოულოდნელად შევწყვიტე. მეშინოდა ხელი არავის შეეშალა.

— ბატონო, თამარ, ხომ შესაძლებელია იმ საქმის შესახებ მოგელაპარაკოთ.

ამის გაგონება და ქალის ცვლილება ერთი იყო. სახეზედ ღრუბელი გადაეკრა და მჭვუნვარებამ შეიპყრო.

— სთქვით... ჩვენ მარტონი ვართ, მიპასუხა ათრთოლვებულის ხმით: დები სასწავლებელში არიან, მამა სამსახურშია და დედა-კი სადარბაზოდ.. ხელს არავინ შეგვიშლის...

— ძალიან კარგი, დავიწყე უგემურად და ვგრძნობდი, რომ ყელში რაღამაც მომიჭირა, თავისუფლად ლაპარაკის ნებას არ მაძლევდა. ძალიან კარგი, განვუმეორე მე კვლავ და გაუბედავად შევჩერდი. ქალმა ყოყმანობა შემატყო და თითქოს გასამხნევებლად მითხრა, თუმცა-კი ეტყობოდა, რომ თითონაც ძლიერ იყო აღელვებული:

— ნუ გეშინიანთ, სთქვით.,. მე ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ არაფერი გამაკვირვებს!..

— ბატონო, თამარ! დარწმუნებული ვარ, ჩემი გარდაწყვეტილება ძალიან გაგანცვიფრებთ, მაგრამ გთხოვთ კარგად ჩაუკვირდეთ ჩემს ნათქვამს და პასუხი ისე მომეცით. ამასთანავე დაგარწმუნებთ, რომ მე თქვენი წყენა ფიქრადაც არა მქონია და იმედი მაქვს, მომიტევებთ, თუ ვინიცობა, ჩემი აზრი ისე ვერ გამოვთქვი, როგორც ამგვარს შემთხვევას შეეფერება.

თამარი დაფიქრებით შემომყურებდა და კრინტსაც არა სძრავდა.

— გთხოვთ—დავიწყე მე ცოტა სიჩუმისა და მღელვარების შემდეგ აკანკალებულის ხმით, ამასთანავე სასულესთან რაღაცა მომაწვა და სუნთქვა გამიძნელა.—გთხოვთ ცოლად გამომყვეთ, თუ იმ ყმაწვილის სიყვარულით თქვენი გული შებორკილი არ არის!... აქ ნაკვერჩხალსავით გავარვარებული გავჩუმდი და თამარისაგან პასუხს ველოდდი.

ძნელი ასაწერია, არჩილ, თამარის სახის მოძრაობა; ერთსა და იმავე დროს იმისი სახე რამდენისამე გრძნობით ამეტყველდა, ცანჯვა, სიძულილი და მადლობა ერთი მეორესა სცვლიდა და არ ვიცოდი, ამ გრძნობათა შორის ჩემკენ რომელი იყო მომართული.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ ჩვენი, ორივეს, გახშირებული სუნთქვა-ღა არღვევდა. ბოლოს ოთახში გაისმა თამარის ხმა,

დეგობის გამოკვლევით ასურათებს თავისს აზრს და ეს შეადგენს უმთავრესს განსხვავებას. ერთმა და იმავე აზრმა ერთს მათგანს თვალთ-მაქცურის ზღაპრების წერა ასწავლა, მეორეს-კი ეს აზრი საძირკვლად გამოადგა, და ამ საძირკველზედ მან ააგო ყველაზედ უნამდვილესი მეცნიერება. საზოგადოდ სამსახური მეცნიერების დიდ რეფორმატორებისა კოპერნიკისა, ლიაიელისა, დარვინისა, ლავუაზიესი იმაში-კი არა მდგომარეობს, რომ იმათ ახალი აზრები წარმოსთქვეს, არამედ ისა ჰქმნეს, რომ შესძლეს ამ ახალის აზრების სხ. და სხ. არეულ-დარეულ მოვლენათაგან გამოჩხრეკა და ერთს სისტემაში მოყვანა.

როგორც მეცნიერების გამოჩენილ მკვლევართა მოქმედების ბიოგრაფია გვიჩვენებს, ღრმა მოხუცებამდის შეუძლიან კაცს თავისის აზრების შემუშავება. დარვინი ოთხმოცის წლისა იყო, როდესაც მიწის ჭიაყელათა მოქმედების გამოკვლევით მთელი ხანა შეჰქმნა მეცნიერებაში. ჰუმბოლდტის 90-ს წლამდე არ შეუყენებია შემუშავება და შევსება თავისის გამოგონილ შედარებით ჰაერის მეცნიერებისა. საზოგადოდ, ეტყობა, რომ მეცნიერება ხელს უწყობს ადამიანის ხანგრძლივს სიცოცხლეს. გერმანიაში ბლომად შევხვდებით ღრმად მოხუცებულთ მეცნიერთ; ვირხოვი დღეს 72 წლისაა, დიუ-ბუა-რეიმონი 75 წლისა, ჰენრიხ ზიბელი 76 წ. მომმსენი 76 წ., ჰნეისტი 77 წ; კურციუსი 79 წ,, ცელლერი 80 წ. სულ არ არის დიდი ხანი, რაც ევროპაში გარდაიცვალა 73 წლის ჰელმჰოლცი, რომელსაც თითქმის უკანასკნელს დრომდის არ შეუწყვეტია თავისი სამეცნიერო შრომა. მეცნიერთა და სწავლულთა შორის ბევრს ოთხმოცს წელზედ მეტი უცოცხლიათ: ჰუმბულდტი, ბეკი, რიტტერი, კანტი, რანკე, ფილოლოგი ჰეინე, ძმანი ვებერნი, ოლბერსი, პერტცი, რაუმერი, დელლინგერი, ველკერი, სავინი, გერშელი, ჰეტე; მარტო კარუსს, მიტტერმაიერს, იდელერს, ჰაუსს და იაკობ გრიმს 80 წლამდე ცოტა ღა დააკლდათ.

მაგრამ, სჩანს, მოსაწყენი რამ ყოფილა მოხუცება! ყველა ისინი, ვისაც სიცოცხლის უკანასკნელს წამებამდე უმუშავნიათ, ემდურიან მარტოობას და, მოხუცების მოწყენილობას. გული აღარ ჰგრძნობს სიყვარულს, მეგობრები და ტოლები უკვე დაგვეხოცნენ, პატივს-მცემელთ თავი მოგვაბეზრეს და ახალთაობის სურვილი და წადილი ჩვენთვის გაუგებარიაო, ამბობენ ისინი.

შესანიშნავი რუსთა კრიტიკოსი დ. პისარევი ამბობს: „ისეთნი მოხუცნი, როგორიც ნიუტონი, ვოლტერი, ფრანკლინი და ჰუმბოლდტია, არასოდეს არ იგრძნობენ ახალს თაობაში მოწყენილობას, უცხოობას, ან გინდ მეტობასაო“...

მაგრამ რამდენად მართალია პისარევის სიტყვები, ამის დამამტკიცებელ საბუთად ჰუმბოლდტის უკანასკნელი წერილებია. ეს წერილები დიდათ იმონავებს ადამიანის გულისყურს. მოხუცი, რომელსაც ყველა მახლობელი და საყვარელი მეგობარნი დაეხოცა, და ახალს თაობაში-კი აღარასა ჰხედავს საინტერესოს თავისის მოხუცებისათვის, უჩივის მარტოობას: „აქ ღრმა მოხუცებას უფრთხილდით ყველაო, სწერს ის ერთს წერილში,—დიდება, სახელი იზრდება, გონების ძალა-კი თანდათან სუსტდება, მაგრამ ძვირფას ჭაბუკ-მოხუცის (Jvgendgreis, როგორც ეძახდნენ ხოლმე 90 წლის ჰუმბოლდტს) დღევანდელ მეცნიერთა მეთაურის სიცოცხლე-კი აუტანელი რამ ღა არისო“.

და ეს იმ დროს იყო, როდესაც მისნი პატივისმცემელნი დაშორებულ ქვეყნებიდგანაც-კი მიიმტვრევდნენ თავპირს იმის სანახავად, რდესაც იმას ღმერთსავით ჰლოცულობდნენ... მაგრამ ყველა ეს მოსწყინდა, ის ეხლა თითქმის ზურგს აქცევდა პატივისმცემელთა ქება-დიდებასა და მხოლოდ მშვიდობიანს ცხოვრებას-ღა ეძებდა...

## რუსეთის ცხოვრება

—

„Вѣст. Финан.“-ში მოყვანილია ის ამბავი, რომ რუსეთის უმთავრესი სამარცვლეულო მოსავალი — ჭვავი ფუთი ხუთ შაურად ფასობდა ყაზანის, სამარის, ორენბურგის, სტავროპოლის, ხარკოვის, პოლტავის და პოდოლის გუბერნიებში.

ამ უკიდურესს მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ბ. მეურნეობის მინისტრმა. მინისტრის აზრით, ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ ყველგან, მთელს მსოფლიოში, მეტის მეტად გამრავლდა სხვა-და-სხვა მარცვლეულობის მოყვანა. პეტერბურგში მეურნეთა კრებაზედ მინისტრს ის აზრი წარმოეთქვა, რომ დრო არის ისეთი მცენარეები მოიყვანოთ, რომელიც უფრო შემოსავლიანიაო. კარგი იქმნება პირუტყვთა მოშენებასაც მიჰყოთ ხელიო.

—

დამტკიცებულია „დეპეშათა სააგენტო“, რომელსაც ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი ჰმართავენ. პირველს ხანს სააგენტო ისეთსავე ფასებს შემოიღებს პროვინციის გაზეთებისათვის, როგორიც „ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსა“ ჰქონდა. სინდიკატი უკვე მოელაპარაკა და პირობით შეეკრა ჰავასისა, რეიტერისა, ვოლფისა, სტეფანისა და სხ. სააგენტოებს.

—

ხმა ისმის, რომ კიევის გენერალ-გუბერნატორი გენ. ლეიტ. გრაფი ა. პ. იგნატიევი სხვა ალაგს მიიღებსო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროში, ყველა გუბერნიიდგან უნდა წარუდგინონ იმის გამოკვლევა, თუ რა მდგომარეობაშია ის სასოფლო საზოგადოებანი, რომელთა „ნადელის“ გადაუხდელი ფული 50,000 მანეთამდეა.

—

იმ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს პეტერბურგში წყლებზედ მისვლა-მოსვლის შესახებ, წაკითხულ იქმნება 21 მოხსენება; ამათ შორის იქმნება მოხსენებული, როგორ შეერთდნენ შავი და ბალტიის ზღვები, ისე რომ მათ შორის ნავებმა შეუწყვეტლივ იარონ.

—

ფინანსთა სამინისტროში ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით კომისია არის დანიშნული, რომელიც განიხილავს იმ საგანს, თუ რა გავლენა აქვს პურის ფასის დაცემას ხალხის სხვა-და-სხვა წოდებაზედ.

—

ხმა ისმის, რომ სასამართლოს უწყებასთან საქველ-მოქმედო საზოგადოება დაფუძნდებაო, მინისტრის მურავიოვის აზრით. ამ საზოგადოებას აზრად ექმნება დაეხმაროს ხოლმე როგორც ამ უწყებაში მოსამსახურეთ, აგრეთვე იმათ ქვრივებს, დედებსა და შვილებს.

—

სახელმწიფო საბჭოში უკვე წარუდგენიათ პროექტი წვრილმან კრედიტის ამხანაგობათა შესახებ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რუსეთის მწერალი ვლ. კოროლენკო უკვე ათავებს თავისის წერილების ბეჭდვას გაზ. „Русск. Вѣд.“-ში პროვინციის პუბლიცისტიკის განვითარების შესახებ. ყოველი პროვინციის ადგილობრივი გაზეთი თუ ჟურნალი,

რომელიც-კი სცდილობს თავისს კუთხეში განავრცელოს საზოგადო დედა-აზრი, საყოველთაო ცნობები და მიავრდნილ კუთხე-კუნჭულის მთლემას ყურადღებას იმ საგნებს მიაქცევს, რომლის შესახებაც ჰფიქრობს და სჯის სამშობლოს უმთავრესს ადგილსა და ქალაქებში, გაზეთი, რომელიც აცხოველებს სამოქალაქო ინტერესებს და გრძნობათ და სცდილობს იმის საყოველთაო კეთილდღეობისათვის გამოყენებას, ყოველთ უწინარეს ძლიერი იარაღია გამაერთებელი და განმავითარებელიო. და აი კიდევ ამიტომ, ჩვენის უშველებლის სამშობლოსათვის აუცილებელი და არსებითი საჭიროებაა, რომ პროვინციის დასტამბული სიტყვა განთავისუფლდესო.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ხუთს დეკემბერს ლონდონში სომხთა და ინგლისელთა დიდი მიტინგი მოხდა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პარლამენტის წევრი სტივენსონი. კრებამ წაიკითხა გლადსტონის, კარდინალის, ვოგანის და სხვათა წერილები. გლადსტონი სწერს: „ძვირფასო სტივენსონ! შემაძრწუნებელმა ამბავმა, რომელიც სომხეთს შეეხება, მთელის ქვეყნის ყურადღება მიიქცია და მე გულით ვისურვებ, რომ თქვენის სიმართლის აღდგენის სურვილი ნაყოფიერი იყოს. თუ ეს ამბები მტარვალებისა გამო დამტკიცდება—განათლებული ქვეყნები იძულებულნი იქნებიან აღძრან ლაპარაკი იმის შესახებ, როდემდის გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა. ეხლავე ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რა შედეგი ექმნება გამოძიებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა ყოველს ღონის-ძიებას იხმარებს ამ საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად, რადგანაც ჩვენ, კიპრის ხელშეკრულობის თანხმად, ამ საქმეს დიდის ყურადღებით უნდა მოვეკიდნეთ. ამასთანავე იმედი მაქვს, რომ ოსმალეთის მთავრობა, თავისის ღირსების დასაცველად, ყოველ გვარად დაგვეხმარებათ ამ საქმის გამოსარკვევად“. ამ წერილების წაკითხვის შემდეგ კრებამ რამდენიმე განაჩენი დაადგინა, რომლითაც მთავრობასა სთხოვს, შენ იკისრე მეთაურობა, რომ სომხეთში ცვლილებანი იყოს შემოღებულიო; ამასთანავე ამ განაჩენებში გამოთქმულია, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ სომხეთა საქმეში მხნედ ჩაერივნენ და სამ-

---

რომელიც გამზარულის ზარის წკრიალს ემსგავსებოდა.

— მესმის თქვენი პატიოსანი საქციელი და გმადლობთ კიდეც... მხოლოდ—აქ ცოტახანს შესდგა—ჩემს შესახებ ცოტა შემცდარხართ... ვხედავ, რომ ჩემს საშველად თქვენ სხვა გზა ვერ გიპოვნიათ და მაგგვარის საშვალებით გინდათ ქვეყნის კიცხვა-კილვა ამაცილოთ და ჩემს უკანონო ნაყოფს სახელი მისცეთ. მაგრამ მე—არ გეგონოთ, რომ ჩემს თავს ვაზვიადებდე—იმ ქალებს არ ვეკუთხვნი, რომელნიც თავისის თავის გასაბედნიერებლად უბედურებაში სხვებსა ჰხვევენ!.. რა უფლება მაქვს თქვენგან მსხვერპლი შევწირო მერე იცით, რა მეტად მძიმე ვალი გიკისრიათ? თქვენ გინდათ მე გამაბედნიეროთ; სხვა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ ეხლა, ამ გარემოებაში მყოფს, ეგ თქვენი გულ-კეთილობა სულ სხვა გვარად მეჩვენება!.. არ გეგონოთ, ვითომ ის უსვინიდისო და იმისი სიყვარული მაბრკოლებდეს!.. არა, ის ეხლა ისე მძაგს, რომ ეს სიძულილი ვერაფერს შეედრება!..

— თამარ! მე ჩემი ნაბიჯი კარგადა მაქვს გათვალისწინებული!.. მას გაზომ-გამოზომა ალარ ეჭირვება... თქვენ უკვე იცით ჩემი აზრი ამისთანა საქმის შესახებ... და, კიდევ ვიმეორებ, თუ თქვენი გული თავისუფალია მომეცით ხელი, ცხოვრების თანა მოზიარეთ გამიხდით.. მეც იმედი მაქვს, ეგ მონდომილება ღირსეულად დავაფასო, თქვენს დაკოდილს გულს ტანჯვათა სიმძიმე შევუმსუბუქო!.. შესაფერი მამა გავხდე თქვენის უბედურის შვილისა!..

სჩანდა, ეს სიტყვები გრძნობით წარმოსთქვი გულ-წრფელის კილოთი, რადგან თამარს ცრემლები წამოედინა და მადლობა მონამულის თვალებით გარდამიხადა, აზვირთებული გრძნობა ლაპარაკის ნებას არ აძლევდა და მისის გულის დიდის ხნის ნადული ვაება ცრემლად დაიწურა. რა-კი თამარის სახეზედ ცრემლი დავინახე, გული იმედით ამევსო და გამხნევებული სალაპარაკოდ განვემზადე, მაგრამ თამარმა დამასწრო:

— მერე იმის თავმდები ხართ, რომ თქვენი გრძნობა ჩემის ბალღის მიმართ არასოდეს არ შეიცვლება? არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენც კაცი ხართ, რომ თქვენც ჩვეულებრივი გრძნობები გაღელვებთ!.. განა შეგეძლებათ ჩემს შვილს აუღელვებლივ სიყვარულით, როგორც თქვენ ამბობთ, უცქიროთ?! თუ დარწმუნებული ხართ—, რომ თქვენი გრძნობა არ შეიცვლება და, თუ დამაჯერებთ, რომ შემდეგი ჩვენი ცხოვრება ყვედრებით და სიძულილით არ მოიწამლება — თანახმა ვარ!...

— ვფიცავ, ვფიცავ, რაც-კი ჩემთვის ქვეყანაზედ ძვირფასია და წმიდაა—ვფიცავ ჩემს პატიოსნებას, რომ არამც თუ სიძულვილით ვუცქირო შენს შვილს, არა შენსას-კი არა მარტო—ჩვენსას, არამედ მხურვალე სიყვარულით გამჭვალული გული არ მოვაკლო მის ნორჩ არსებას და მისდა საბედნიეროდ ამ ქვეყნად არსებობა ცხოვრების საგნად მივიჩნიო!!..

აი, არჩილ, პატიოსნის კაცის ფიცი, რომელიც ეხლაც კარგად მახსოვს!... მახსოვს-კი რა ყურში ჩამესმის ჩემი მეტის ღელვისაგან ათრთოლებული ხმა, თვალწინ ჩემი ცრემლმორეული სახე მიდგას და მასთან ერთად თამარის ბადრს სახესაც, ვხედავ—ბედნიერის ღიმილით განათებულს!.. მერე რა სავსებით შევასრულე ეს ფიცი!...

ამ დროს სარიდანს გულზე რაღაცა შემოაწვა, წაუჭირა და საშინელი ხველა ქოშინი აუტეხა, რომელსაც აუარებელი სისხლი ამოჰყვა. მოსულიერების შემდეგ სარიდანმა კვლავ განაგრძო:

— ეს იყო და ეს! ჩემი მომავალი ცხოვრება ამით გარდასწყდა! და რა გგონია? განა ჩემი ფიცი გულ-წრფელი არ იყო? არა, გულ-წრფელი იყო, რადგანაც იმ ჟამად თამარის ბალღის გაბედნიერება მართლა რომ ნეტარებად მიმაჩნდა!...

რაღა ბევრი გავაგრძელო... თამარის სახლობა გავიცანი და, ორის კვირის განმავლობაში, ჩვენი ცოლქმრობის საქმე უკვე გაიჩარხა. გადავიწერეთ ჯვარი და სოფელში გავსწიეთ, სადაც ერთს წელიწადს უნდა დავრჩენილიყავით.

ყველაფერი, რაც კი გიამბე, ძნელად დასაჯერებელია, რადგანაც ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი ამ გვარის ცოლქმრობისაკენ ნაბიჯს ძნელად თუ გადასდგამს. წინათვე გითხარი, ჩემს გულში სიყვარული უეცრად არ აფეთქებულა., იგი თანდათანობით გაჩნდა, იმისდა კვალად, რამდენადაც მე და თამარმა ერთმანეთი კარგად გავიცანით.

პირველის ნაპერწკალის სითბო ჩემს გულს მაშინ მოჰხვდა, როდესაც ეკკლესიაში შევედით და მღვდელმა დაიძახა: „და იყვნენ იგინი ერთ სისხლ და ერთ ხორც“!.. სწორედ იმ წამს გულში რაღაცა შუქი ჩამეჭრა და არსება მთლად განმინათლა. ეს შუქი სიყვარულის წინამორბედი გრძნობა იყო, იმ სიყვარულისა, რომელმაც მე და თამარ სულიერად დაგვაკავშირა. ამ დროს თამარ მხოლოდ მებრალებოდა, როგორც უბედური ადამიანი, მაგრამ ეხლა სიბრალული სხვა გულის სითბომ დაჩრდილა. გულით განვიცადე, რომ თამარ, სიბრალულის გარდა, სიყვარულის ღირსაც არის და პატივის ცემისაც... გონებით-კი იმას მივხვდი, რომ იგი ჩემი მეუღლეა, ცხოვრების ჭაპანის მწეველი, ჩემის მწუხარებისა და სიხარულის თანამოზიარე!.. როცა ყველა ეს გავითვალისწინე, გულმა სიამით იწყო ბგერა და, როდესაც მღვდელმა ხელები შეგვიერთა, მაშინ უზენაესის ძალით მოვლენილმა სასოებამ მამცნო, რომ ჩვენ სამუდამოდ შევერთდით, რომ სისხლითაც და ხორცითაც ერთი მეორეს შევეწონეთ!.. შემდეგში ეს სიყვარულის წინამორბედი ნაპერწკალი გაღვივდა და დიდ ნაკვერჩხლად გარდაიქცა. რაც დღეები გადიოდა, მე და თამარ ერთმანეთს უფრო და უფრო მკვიდრად ვუახლოვდებოდით.

ილ. ელეფთერიძე

(დასასრული იქნება)

წუხაროდ არის ჩათვლილი ის გარემოება, რომ ელჩთა ანგარიშები სომხეთის საქმეების შესახებ პარლამენტს აღარ წარდგენია 1889 წლიდგან.

**საფრანგეთი.** თუმცა ცივი წვიმა მოდიოდა მთელი დღე, მაინც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ბურბონის სასახლესთან ბურდოს დასაფლავებაზედ. 8¼ საათზედ რესპუბლიკის პრეზიდენტი მობძანდა; დასაფლავებაზე დასწრებით პრეზიდენტმა აგერ მესამედ დაარღვია წესი, რომლის მოთხოვნილებით დასაფლავებაზედ წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო და არა თითონ პრეზიდენტი. პრეზიდენტი მთელი საათი იდგა, ქუდ მოხდილი, წვიმის ქვეშ, ერთ-ერთ მისს მდივანთაგანს ქოლგა ეჭირა. როდესაც სიტყვები გაათავეს ორატორებმა, მხოლოდ მაშინ მოშორდა პერიე თავისს მეგობრის კუბოს და შინ წავიდა.

## გამოსადეგი ცნობა

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ უაკაში, ციკორის გარდა, სხვა-და-სხვა დამწვარს ნივთიერებას ურევენ და ისე ჰყიდიან. მაგალითად, აურევენ ხოლმე დამწვარს „ბებიას წვერას“ (მცენარეა), ქერს, შვრიას და სხვ. ლაბრალტერიე შემდეგ საშუალებად უჩვენებს, რომ გამოცნობილ იქმნას არის თუ არა დაფქულს უაკაში სხვა-და-სხვა ნივთიერება არეული. ოცს დაწმენდილს წილს წყალში უნდა ჩაჰყაროთ ორი წილი უაკა და ხუთის წუთის შემდეგ კვლავ დასწმინდოთ წყალი. შემდეგ უნდა მიუმატოთ რამდენიმე წვეთი, წყალში გახსნილ შაბიამანისა, აადუღოთ და კარგად გააციოთ. ნადუღის მოსაშორებლად კვლავ უნდა გაიწუროს უაკა. გაწურულს უაკას ნელ-ნელა უნდა მიუმატოთ წყალში გახსნილი სოდა, სანამ მთლად არ დაწკნდება. ამის შემდეგ თუ უაკას თავისი მწვანე ფერი დასცემს, შეურეველია, და თუ „ბებიას წვერა“ ერევა, მაშინ უაკას ყომრალი ფერი ექმნება და მოწითანო შლამს დაიდებს. თუ ეჭვი გაქვთ, რომ უაკაში დამწვარი ქერი ან შვრია ურევია, მაშინ უაკა ბლომად წყალში უნდა გახსნათ და ხახშირი მიუმატოთ, გასწუროთ და გაწურული თებშზედ დაასხათ. მერე წვეთ-წვეთად დაუშვათ სამ წილ წყალში გახსნილი არაყ-ნარევი იოდი. თუ უაკას ლურჯი ფერი მიეცემა, უთუოდ ერთ-ერთი ზემოდ დასახელებული ნივთიერება ურევია. შეურეველი უაკა ამ გვარს შემთხვევაში ფერს არ იცვლის ხოლმე.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ თავად ერმილე კაცოს ძე ნაკაშიძეს, რომელმაც ასკანის საერო წიგნთ-საცავს 3 მანეთი შემოსწირა.

გამგე წიგნთ-საცავისა სოლომონ მჭეიშვილი

## შემოწირულება

ჩვენ მოგვივიდა ფერშლის საწავლებლის და მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ შეკრებილი 13 მან. და 75 კ. ქუთაისის თეატრის სასარგებლოდ. აქვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას:

პეტრე ჯიჯოშვილმა 50 კ., მიხეილ ნათაძემ 1 მ., №№ 5 მ., № № № 1მ., ალექსი კლიმიაშვილმა 1 მ., მღ. ნ. გ. 40 კ., ნ. ე. ჯიბლაძემ 50 კ., ნ. ხორავამ 50 კ., ა. ბურჭულაძემ 40 კ., კ. ჭელიძემ 20 კ., ირ. გურგენიძემ 20 კაპ., დ. რამიშვილმა 20 კ., დ. ურუშაძემ 20 კ., დ. ჯიბუტმა 20 კ., ნ. მძინარაშვილმა 20 კ., ნ არხიფაშვილმა 15 კ., № 20 კ., ელ. კალანდაძემ 30 კ., ბ. შაქრიშვილმა 20 კ., ლ. ნაცვალაძემ 20 კ., ექვ. ორაგველიძემ 20 კ., ქანუყვაძემ 15 კ. №-მა 70 კ., № 15 კ. სულ 13 მ. 75 კ.

ამ ფულისა გვქონდა 30 მ. 30 კ. ამითი შესდგა 44 მ. 5 კ.

## „ივერიის“ ფოსტა

**სფ. უტ—ძეს.** ჩვენ აქ წერილების სათარგმნელი კანტორა არა გვაქვს, ჯერ ერთი, და მეორეც, სირცხვილია, რომ სულიერი მამა ბრძანდებით და ქართულის გაზეთის რედაქციაში ორიოდე სიტყვის ქართულად მიწერა ვერ მოგიხერხებიათ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 დეკემბერი

**ვენა.** არკოდგან იუწყებიან, რომ ნეაპოლიტანის მეფედ ნამყოფი ფრანცი გარდაიცვალაო.

# განცხადებანი


მიიღება ხელის მოწერა
1895 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ
**მოამბე**ზე
(II წ.)

| | 1 წ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ-გარედ | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მ., 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია. გამომცემელი ალექსან. ჯაბადარი

(5—უ.—4)

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად
თ. რაფიელ ერისთავის
**თხზულებანი**
პირველი ტომი
რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება
**ქართული ანბანი**
შედგენილი
გრ. ტატიშვილის მიერ
ამ ანბანში მოქცეულია წყვილ-წყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანცთუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1895 ГОДЪ
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ
**„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“,**
органъ Императорскаго Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ безъ предварительной цензуры,
ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоры литературы русской и иностранной по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія 16. Обявленія.

**ЗАДАЧА ГАЗЕТЫ** заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между Обществомъ и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ «Вопросы и отвѣты» газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или въ общество сельскаго хозяйства.

Условія подписки и пріема объявленій указаны въ заголовкѣ газеты.

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს
**„მწყემს“ზე**
და
რუსულ **„ПАСТЫРЬ“**-ზედ
ფასი ჟურნალისა:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 მან. | | 6 თვით „მწყემსი“ 3 მან. |
| — „ ორივე გამოცემა 6 „ | | — „ ორივე გამოცემა 4 „ |
| — „ რუსული „ 3 „ | | — „ რუსული „ 2 „ |

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

**1895** წლის „მწყემსი“-ს
ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ
**შოთას და დავით აღმაშენებლის**
მოზრდილი მხატვრობა
შოთას სურათს იანვრიდგან მიიღებენ ხელის-მომწერნი და დავით აღმაშენებლისას წლის ბოლოს

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით:
Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „Мцкемси“ и „Пастырь“

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
**„კვალი“**
გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ. გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთ, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო „სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Алтилер; ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თ. კირ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანეიშვილისა და ძმათ წერეთლების წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიონეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან— ჭიათურაში: თედორე კაკვაძესთან,—ყვირილაში: თ. ხუსკივაძესთან,—ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ჩოხატაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან,—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და სხვა ენაზე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.